ხელშეკრულება 1

საქონლის ნასყიდობის/მიწოდების შესახებ

ქ. თბილისი 4 იანვარი, 2016 წ.

ერთის მხრივ, შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია" წარმოდგენილი მისი დირექტორების ზურაბ ბრელიძის და გიორგი ხაჭაპურიძის სახით (შემდგომში – „გამყიდველი", იგივე – „მიმწოდებელი") და
მეორეს მხრივ შპს „ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა წყალტუბოს პოლიკლინიკა" , მისი დირექტორის ქ-ნ ნანა კვირტიას სახით, (შემდგომში „მყიდველი" იგივე " დამკვეთი")
ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს: ლაბორატორიულ დიაგნოსტიკურ ტესტ-სისტემებს CPV- 33696500.
1.2. გამყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და წესით მიაწოდოს და გადასცეს საკუთრებაში საქონელი, ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და მიიღოს საქონელი;
1.3. საქონლის ხარისხი, თანახმად ტექნიკურ-ნორმატიული მახასიათებლებისა, უნდა შეესაბამებოდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სერტიფიკატებსა და ტექნიკური პასპორტის მიხედვით საქონლის დამამზადებელი კომპანიის ტექნიკურ-ნორმატიულ პარამეტრებს.
1.4. საქონლის მიწოდება განხორციელდება გამყიდველის ხარჯით მყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.
1.5. საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის და/ან სასაქონლო ზედნადების და/ან ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების თარიღი.

2. გარანტია

2.1. გამყიდველი იძლევა გარანტიას, მასზე, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს და საქართველოში აღიარებულ სტანდარტებს.
2.2. გამყიდველი იღებს ვალდებულებას საკუთარი ძალებით აღმოფხვრას აღმონენილი წუნი, დეფექტი ან ნაკლოვანებები.
2.3. მყიდველი უფლებამოსილია წარადგინოს წერილობითი პრეტენზია საქონლის ხარისხის და კომპლექტაციის თაობაზე მისი აღმოჩენისთანავე, ხოლო გამყიდველი ვალდებულია პრეტენზიის დასაბუთებულობის შემთხვევაში ჩაანაცვლოს დეფექტური საქონელი ანალოგიურით მისი საწყობში არსებობის შემთხვევაში ან გამოიწეროს დამამზადებელი კომპანიიდან საკუთარი ხარჯებით და მიაწოდოს მყიდველს საქონელი საწყობში მისი მოხვედრისთანავე.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. გამყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განახორციელოს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე 3-5 დღის განმავლობაში საქონლის საწყობში მისი არსებობის შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს პროდუქცია შეკვეთიდან 30-45 დღის განმავლობაში.

4.2 მყიდველი ვალდებულია სრულად გადაიხადოს ნაყიდი დიაგნოსტიკური ტესტ-სისტემების სრული ღირებულება გამყიდველის მიერ შემოსავლების სამსახურის რეესტრში სასაქონლო ზედნადების ატვირთვიდან 45 დღის განმავლობაში.

4.3 გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი. ნივთობრივად უნაკლო საქონელში მხარეები გულისხმობენ საქონელს, რომელიც ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის და შეესაბამება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ტექნიკური პასპორტის მიხედვით საქონლის ტექნიკურ-ნორმატიულ მახასიათებლებსა და დამამზადებელი ქარხნის მიერ დამტკიცებულ ტექნიკურ-ნორმატიულ პარამეტრებს, ხოლო უფლებრივად უნაკლო საქონელში მხარეები გულისხმობენ იმას, რომ ნაყიდი საქონელი არ წარმოადგენს მესამე პირის (პირების) მოთხოვნის საგანს და არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები, ან დააკისროს რაიმე სახის ვალდებულებები ნაყიდი საქონლის გამო;

4.4 გამყიდველი ვალდებულია საუტაროს მყიდველის მიერ მითითებულ პერსონალს სწავლება (ტრეინინგი) საქონლის დანიშნულებისამებრ სწორი გამოყენების შესახებ (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

4.5 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაბამისმა მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობილება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაცია

5.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

5.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და იმეთი ნორმატიული და/ან სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

5.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

5.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

5.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

5.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

5.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი მოშლის და შეწყვეტის წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.
6.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ან/და ერთ ერთი მხარის ინიციატივით, წინასწარი წერილობითი შეტყობინების 2 კვირიანი ვადის დაცვით; წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივი წესით მხარის მიერ შეწყვეტის საფუძველი, შეიძლება გახდეს ასევე, მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე შესაბამისი მხარე მეორეს ატყობინებს ასევე 2 კვირით ადრე, წერილობით.
6.4. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისგან.

7. კონფიდენციალობის პირობები

7.1. მხარეთა მიერ ურთიერთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გაცნობა მესამე პირთათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. აგრეთვე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ხელშეკრულების შესრულებისათვის გამიზნული კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთაგან დაცვა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებისა.
7.2. მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.
7.3. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება;
7.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულება განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
9.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს (სააღსრულებო ბიუროს) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაზე პირველი ინსტანციის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივი წესით აღსასრულებლად, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] პუნქტისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დასკვნითი დებულებები

11.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
11.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
11.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილად ან ძალადაკარგულად იქნება ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს ხელშეკრულების დანარჩენი დებულებების ნამდვილობაზე და ხელშეკრულებას ექნება მთლიანი ძალა და ეფექტი იმ შემთხვევაში, თუ ამით ხელშეკრულების მიზანი სრულად მიიღწევა.
11.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები; რეკვიზიტები და ხელმოწერები

შპს "ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია" ს/კ 202161640 ქ. თბილისი, ივჯავახიშვილის 51 ს/ს „ბაზისბანკი" ცენტრ/ფილიალი, ბანკის კოდი CBASGE22 ა/ა: GE67BS00 0000 0055 2366 74 მისამართი: ქეთევან წამებულის გამზ. 1	შპს „ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა წყალტუბოს პოლიკლინიკა" საიდენტიფიკაციო კოდი 221275901 მისამართი: ქ. წყალტუბო 26 მაისის ქ.17
დირექტორატი: ზურაბ ბრელიძე გიორგი ხაჭაპურიძე	ნანა კვირტია დირექტორი